

მოსაყდრის ინსტიტუტის რაობისათვის

1. შესავალი

2017 წლის 23 ნოემბერს საქართველოს პატრიარქმა წაიკითხა ბრძანება მოსაყდრის დადგინების შესახებ.¹ აღნიშნული მოვლენა საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა. ამ აქტის კანონიკურ მხარეს სხვადასხვა სასულიერო პირი, თუ მეცნიერი გამოეხმაურა.² მათ პუბლიკაციებში აღნიშნულია, რომ მოსაყდრის ინსტიტუტი, იმ ფორმითა და შინაარსით, რაც მას საქართველოში აქვს, არის არაკანონიკური, რომ იგი უცხოა მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკისთვის. ასეთი შეფასებები საყურადღებოა, რადგან მოსაყდრის შესახებ ჩანაწერები წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიის ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტებში – ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ შედგენილ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებებში, სინოდის განჩინებებში, პატრიარქების ბრძანებებში, ავტოკეფალიის აღდგენის აქტშიც კი. აქედან გამომდინარე, საკითხი თავისთავად აქტუალურია, რის გამოც საჭიროდ ჩავთვალეთ მისი შესწავლა.

ნაშრომში განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: ტერმინი „მოსაყდრე“ თავისი ფორმით რამდენად მისაღებია ეკლესიისთვის; რამდენად კანონიკურია ამ ტერმინის შინაარსი; აქვს თუ არა პატრიარქს უფლება, რომ ჰყავდეს მოსაყდრე, როგორც თანამემწე; აქვს თუ არა პატრიარქს უფლება, რომ დაასახელოს თავისი ტახტის მოსაყდრე; შეიძლება თუ არა, რომ მოსაყდრის კანდიდატურა დადგეს მომავალი პატრიარქის არჩევნებზე.

ავტოკეფალური ეკლესიების ადმინისტრაციული მოწყობის, მათი იერარქიის დადგინების წესების შესახებ მრავალი ნაშრომი არსებობს. მათში განხილულია როგორც ისტორიული გამოცდილება, ისე თანამედროვე ვითარება. მაგალითად, დავასახელებთ ბარნაბა ძორდატოსის, ვასილი სტავ-

¹ მოხსენება „რას აღნიშნავს ‘მოსაყდრე‘“ წაკითხულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: კულტურა, ისტორია, პოლიტიკა“, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), 17-19 დეკემბერი, 2020.

² ბერბიჭაშვილი, ილია // უნდა გადამდგარიყო; იარაჯული, მოსაყდრის დადგინების შესახებ; მისივე, შეიძლება თუ არა მოსაყდრე გახდეს პატრიარქი; ცაავა, რას განიხილავს სინოდი; ბარნოვი, ოკუპანტი განახორციელებს მომავალი პატრიარქის „დადგენას“; მისივე, მოსაყდრის ინსტიტუტის შესახებ, გვ. 45-52; ეპისტოლე, 2021.

რიდისის, იოპპის დამასკინოსის, დემეტრიუს კიმინასის, ლევის პატსავოსის, პორფირი უსპენსკის, ალექსეი ლებედევის, ნიკოლაი ზაოზერსკის, ივანე სოკოლოვის შრომებს.¹ მათში მრავალი ბერძნული წყარო არის ციტირებული და განხილული. მაგრამ ამ პუბლიკაციებში არ არის ასახული საქართველოს ისტორიული გამოცდილება. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი ამ სიცარიელის ნაწილობრივ შევსებაც არის.

2. ტერმინების მოკლე მიმოხილვა

საკითხის შესწავლა დაგინყეთ ტერმინების მნიშვნელობის დაზუსტებით. ბიზანტიურ საეკლესიო ხელისუფლებას რთული ბიუროკრატიული სისტემა ჰქონდა. მასში იყო ბევრი მალალი ადმინისტრაციული თანამდებობა განსხვავებული ტიტულებითა და მსგავსი უფლება-მოვალეობებით. საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა ამ ტიტულების ფორმა და შინაარსი. შესაბამისად, მათი ქართული თარგმანებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. ასე რომ, ამ ტერმინების მნიშვნელობების დადგენა საკმაოდ მოცულობითი ტექსტების დამუშავებასა და გულდასმით ანალიზს მოითხოვს.

დღესდღეობით „მოსაყდრე“ ბერძნულად ითარგმნება როგორც „*ποσιρητής*“. თანამედროვე გამოცემებში ძირითადად ასეა, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. თვითონ ბერძნები „*ἐπίριπος*“-საც თარგმნიან „მოსაყდრედ“. მაგალითად, მიტროპოლიტი ისიხიოსი 2012 წელს დაინიშნა იერუსალიმის ამჟამინდელი პატრიარქის თეოფილე მესამის (კათედრა დაიკავა 2005-ში) ეპიტროპოსად, ანუ მოსაყდრედ, როგორც ამას იერუსალიმის საპატრიარქოს ოფიციალური გამოცემებიდან ვიგებთ: „*Τῷ 2012 διαρίσθη Πατριάρχικὸς*

¹ *Τζωρτζάτος, Οι βασικοί θεσμοί; Σταυρίδης, Οι οικουμενικοί πατριάρχαι; Δαμασκηνός, Ἡ διοικητικὴ ὄργανωσις; Kiminas, The Ecumenical Patriarchate; Patsavos, Primary and Conciliarity; Успенский, Александрийская патриархия; Лебедев, Духовенство древней Церкви; Заозерский, Формы устройства православной церкви, გვ. 391-444; Заозерский, О священной власти; Заозерский, О церковной власти; Соколов, Патриарший кризис в Константинополе; Соколов, Избрание патриархов в Византии; Соколов, Избрание Александрийских патриархов; Соколов, Избрание Александрийских патриархов в XIX веке; Соколов, Антиохийская Церковь; Соколов, Епархиальное управление в Константинопольской церкви.*

Ἐπίτροπος“ / „В 2012 году назначается Патриаршим Местоблюстителем“.¹ ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ἐπίτροπος“-იც უდრის „მოსაყდრეს“.²

რაც შეეხება „τοποτηρητής“-ს, არსენ იყალთოელს იგი „პოტირიტი-სის“ სახით გადმოაქვს.³ ვხვდებით ასევე მსგავსი ფორმისა და შინაარსის სხვა ტერმინებსაც („παρατηρητής“,⁴ „ἐπιτηρητής“...). „ἐπιτηρητής“ ქართულში ზოგჯერ უცვლელად გადმოჰქონდათ, ზოგჯერ კი „დამხედვარის“, ანუ „ზედამხედველის“ მნიშვნელობით თარგმნიდნენ. მაგალითად, გიორგი ათონელი წერს, რომ ექვთიმე ათონელს „ორნი ეპიტირიტისნი, რომელ არიან დამხედვარნი, დაედგინნეს“.⁵

„ზედამხედველს“ აღნიშნავს ასევე ბერძნული „χαραπίσκοπος“ (ქორეპისკოპოსი). არის კიდევ სხვა არაერთი მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობის აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი, მაგალითად: „σύγκελλος“ / „σύνκελλος“ (სინგელოსი), „πρωτοσύγκελλος“ (პროტოსინგელოსი), „χαρτοφύλαξ“ (ხარტოფილაქსი)... ცნობილია, რომ პატრიარქის ხარტოფილაქსი საერთოდ არ იყო

¹ *Καπιτωλιάδος κ. Ησύχιος; Капитолядский Исихий.*

² „ἐπίτροπος“ შუა საუკუნეების ქართულ თარგმანებში გადმოსულია, როგორც „ეზოხს მოძღუარი“, „მოურავი“, „განმგებელი“, „წელისუფალი“, „იკონომოსი“ (დოკუმენტირებული ლექსიკონი, გვ. 851).

³ დიდი სჯულისკანონი, გვ. 277, 285, 286, 289, 290, 293, 295. სულხან-საბას ლექსიკონში „პოტირიტის“ რატომღაც შეცდომით არის განმარტებული, აღნიშნულია, რომ იგი რომის პაპის ნაცვალს / უფლებამოსილ წარმომადგენელს აღნიშნავს (სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, გვ. 333, 628). ეს არ არის სწორი. არსენ იყალთოელის თარგმანებიდან ჩანს, რომ „პოტირიტისებად“ სხვა იერარქების წარმომადგენლებიც იხსენიებიან.

⁴ „პარატირიტისებად“ იწოდებიან კრეტის კრებაზე დამსწრე სხვა აღმსარებლობის დამკვირვებლები: „Παρατηρηταί ἄλλων χριστιανικῶν Ἐκκλησιῶν ἢ Ὀμοσολογιῶν, ὡς ἐπίσης στελέχη ἄλλων χριστιανικῶν ὀργανώσεων, παρίστανται εἰς τὴν ἔναρξιν καὶ τὴν λήξιν τῶν ἐργασιῶν τῆς Συνόδου, ἄνευ δικαιώματος λόγου ἢ ψήφου“ (იხ. შამბეზის „რეგლამენტის“ მე-14 მუხლი, *Κανονισμός* 2016); ასევე კონსტანტინოპოლიდან ვატიკანის მეორე კრებაზე გაგზავნილი ოფიციალური წარმომადგენლები: „Τὸ πατριαρχεῖον ἤρχισεν ἀποστῆλλον ἐπιστήμους παρατηρητάς εἰς τὴν Β΄ βατικανὴν σύνοδον (1962-5) ἀπὸ τῆς Γ΄ φάσεως τῶν ἐργασιῶν αὐτῆς (1964)“ (*Σταυρίδης, Οι οικουμενικοί πατριάρχαι*).

⁵ გიორგი ათონელი, *იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება*, გვ. 70. მსგავსი შინაარსით განმარტავს ამ ტერმინს საეკლესიო სამართლის სპეციალისტი, პროფ. იოანე სოკოლოვი: „У эпистимонарха был помощник, который назывался эпитирифом (ἐπιτηρήτης). Последний был как бы оком игумена и эпистимонарха и должен был постоянно наблюдать за братьями, днем и ночью, разрушать недозволенные сходки для смеха, празднословия и других предосудительных занятий и доносить о виновниках игумену“ (Соколов, *Состояние монашества*, гв. 327). „იპიტირიტისი“ ვაჰანის ქვაბთა განგების მე-7 მუხლშიც იხსენიება (*ვაჰანის ქვაბთა განგება*, გვ. 37).

ეპისკოპოსი, მიუხედავად ამისა, მას მღვდელმთავართა კრების თავმჯდომარეობის უფლებაც ჰქონდა.¹

ბიზანტიური საეკლესიო თანამდებობების აღმნიშვნელ ტერმინებზე ამჯერად უფრო ვრცლად ვერ ვიმსჯელებთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ „მოსაყდრეს“ ბერძნულში რამდენიმე განსხვავებული შესატყვისი აქვს — „τοποτηρητής“, „συνθρονος“,² „προκαθηδρία“.³ „τοποτηρητής“ ინგლისურად ითარგმნება „locum tenens“-ის სახით. მაგრამ თვითონ „locum tenens“ სულ სხვა ბერძნული ტერმინების შესატყვისადაც შეიძლება გამოიყენებოდეს.

3. „მოსაყდრე“: ტერმინის ფორმა

ეკლესიის პრაქტიკაში მიღებულია როცა პატრიარქებს, მღვდელმთავრებს, დიდი მონასტრების წინამძღვრებს ჰყავთ თანამემნეები. არაფერი ანტიკანონიკური არ არის იმაში, რომ საქართველოს პატრიარქსაც ჰყავდეს თანამემნე და ოფიციალურ შეხვედრებზე მისი წარმომადგენელი, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია, რომ ამ თანამდებობის აღსანიშნავად გამოიყენებოდეს ტერმინი „მოსაყდრე“. ჯერ ტერმინის ფორმის შესახებ ვიმსჯელებთ, შემდეგ მის შინაარსზე შევჩერდებით.

„მოსაყდრეს“ და „თანამოსაყდრეს“ ეკლესიის მამების თხზულებებში ვხვდებით. ე გ ნ ა ტ ე ლ მ ე რ თ შ ე მ ო ს ი ლ ი : „რაჲ არიან მღდელნი? - კრებული საზეპუროჲ, თანამზრახველნი და თ ა ნ ა მ ო ს ა ყ დ რ ე ნ ი ეპისკოპოსისანი“;⁴ ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი (მღვდელმთავართა შესახებ): „ან ლოცვითა

¹ „В частности, на соборе, избравшем патриарха, хартофилакс был как бы его местоблюстителем (τοποτηρητής)...“; „...при избрании епископов хартофилакс, заменявший отсутствующего ‘первого’, или ‘великого’, архиерея-архиепископа, занимал место не только среди архиереев, участников избирательного собора, но даже и выше их. Однако по поводу такого первосидения хартофилакса следует сказать, что оно имело силу по уполномочию правящего патриарха и вследствие предоставления хартофилаксу права быть патриаршим местоблюстителем (τοποτηρητής)“ (Соколов, *Избрание патриархов в Византии*, გვ. 436, 439).

² მაგალითად, კლიმი ანკვირელისადმი მიმართულ ლოცვაში ვკითხულობთ: „Κλημα ὀσιότητος, καὶ στέλεχος ἀθλήσεως, ἄνθος ἱερῶτατον, καὶ καρπός ὡς θεόσδοτος, τοῖς πιστοῖς πανίερε, ἡδύτατος ἐβλάστησας. Ἄλλ’ ὡς Μαρτύρων σύναθλος, καὶ ἱεραρχῶν σ ὑ ν θ ρ ο ν ο ς , πρῆσβευε Χριστῷ τῷ Θεῷ, σωθῆναι τὰς ψυχὰς ἡμῶν“ (*Απολυτίκιον*, ხაზგასმა ჩემია – გ. მ.).

³ ეს ფორმა წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის ეკთესისებში (გეორგიკა, IV/II, გვ. 126, 138, 141).

⁴ ეგნატე ღმერთშემოსილი, *მეორე ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ* (გიორგი ათონელის თარგმანი. აქაც და ქვემოთაც ციტირებისას ხაზგასმები ჩემია — გ. მ.).

[...] ყოველთა ამათ თანა - მოსაყდრეთათა ღირსმცა ვართ ჩუენცა მიწვენად სასუფეველსა ცათასა“;¹ იოანე დამასკელი: „პეტრეს მოსაყდრეებად მიიწნევიან: პირველი ეპისკოპოსი რომში – კლიმენტი, ანტიოქიაში – ევლოგი, ალექსანდრიაში – მარკოზი [...] ხოლო ტერტულიანეს ეპისტოლეში პაპიანესადმი ყველა ეპისკოპოსი მოციქულთა მოსაყდრედ იხსენიება. ასევე ევსევი პამფილიელთან და სხვა მრავალ საეკლესიო მწერალთან“.²

ასე რომ, ეკლესიის მამების თანახმად, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე სასულიერო პირები ერთ სულიერ ერთობას შეადგენენ, ერთი სამოციქულო მემკვიდრეობის მფლობელნი არიან. ამიტომ იწოდებიან ისინი თანამოსაყდრეებად და მოსაყდრეებად. ეს საღვთისმეტყველო აზრი ქართულ ორიგინალურ წყაროებშიც არის წარმოდგენილი.

მაგალითად, შიომღვიმის მონასტრის ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მეოხებითა და შუამდგომელობითა წმიდათა მღვდელთმოძღუართა: ბასილი, გრიგოლი, იოვანე ოქროპირისა, ნიკოლაოზ და ყოველთა თანამოსაყდრეთა მათთათა [...]“³; თეიმურაზ მეორე წერს, რომ ნეკრესის ეპისკოპოსი არის აბიბოს ნეკრესელის მოსაყდრე და ამიტომ აქვს ბისონის ტარების უფლება: „ნეკრესელი ბისონის ღირსი იყოს ამ წმიდის აბიბოს მოსაყდრეობისათვის“;⁴ კათალიკოსმა მაქსიმე აბაშიძემ დოსითეოზ ქუთათელ მიტროპოლიტს ეპისტოლეთი მოუწოდა დაეკავებინა აფხაზეთის კათალიკოსის კათედრა. ამის შემდეგ „იქნებით ჭეშმარიტი პირველწოდებულისა დიდებულისა მოციქულისა ანდრიას მოსაყდრე“ – წერს იგი.⁵

როგორც მოხმობილი ციტატებიდან დავინახეთ, „მოსაყდრე“ / „თანამოსაყდრე“ რაიმე კონკრეტულ თანამდებობას კი არ აღნიშნავს, არამედ გადმოსცემს იმ აზრს, რომ სასულიერო პირები ერთი სამოციქულო მემკვიდრეობის მფლობელნი არიან. ეს ზოგადი საღვთისმეტყველო მნიშვნელობა დაედო საფუძვლად საქართველოს ეკლესიის პრაქტიკაში „მოსაყდრეს“ როგორც კონკრეტული ადმინისტრაციული თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინს. ვერავინ იტყვის, რომ იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეგნატე ღმერთმემოსილი არაეკლესიურ ლექსიკას იყენებდნენ თავის თხზულებებში. ვერავინ იტყვის, რომ გიორგი ათონელი ეკლესიისთვის შეუფერებელი ლექსიკით თარგმნიდა სასულიერო მწერლობის ძეგლებს. ამრიგად, არასწორია აზრი, თითქოს ტერმინი „მოსაყდრე“ თავისი ფორმით არაეკლესიურია.

¹ იოანე ოქროპირი, *მარხვისათვის და იონაჰსთვის*, გვ. 111.

² იოანე დამასკელი, *მე-4 ეპისტოლე აფრიკელებისადმი*, დამონმებულია ნაშრომიდან: „აღმოსავლეთის პატრიარქების 1723 წლის ეპისტოლე მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ“ (*Letter 1723*, გვ. 165-166).

³ *დანერილი მღვიმის კრებულისა*, გვ. 190.

⁴ თეიმურაზ მეორე, *წყალობის წიგნი*, გვ. 395-396.

⁵ მაქსიმე აბაშიძე, *ეპისტოლე*, გვ. 171.

4. „მოსაყდრე“: ტერმინის შინაარსი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მოსაყდრის“ ბერძნულ შესატყვისად თანამედროვე გამოცემებში ძირითადად „τοποτηρητής“ გამოიყენება. ვნახოთ ბერძნულში რა უფლება-მოვალეობების მქონე თანამდებობები აღინიშნება ამ ტერმინით.

ა) „τοποτηρητής“ ბიზანტიურ და პოსტბიზანტიურ პერიოდში

1) მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებიდან ვიგებთ, რომ სოფრონ იერუსალიმელმა პატრიარქმა თავის ტოპოტირიტიკის გიორგი აპოკრისიარს გაატანა ეპისტოლე სერგი კონსტანტინოპოლელ პატრიარქთან. გიორგი აპოკრისიარმა იერუსალიმის პატრიარქის ეპისტოლე 681 წლის 20 მარტს წარუდგინა კრებას.¹

2) ალექსანდრიის პატრიარქს მეექვსე მსოფლიო კრებაზე, ასევე ტრულის კრებაზე, წარმოადგენდა მისი ტოპოტირიტიკის პეტრე ეპისკოპოსი. კრების საბუთებს იგი ხელს აწერს როგორც „ალექსანდრიის სამოციქულო სამიტროპოლიტო კათედრის ტოპოტირიტიკის“.²

3) კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მათე პირველმა 1406 წელს თავისი ტოპოტირიტიკისი იოსებ ვრიენოსი გაგზავნა კვიპროსზე, რომელმაც იქ, ფამაგუსტაში, საეკლესიო კრება ჩაატარა.³

4) 1005 წელს, როდესაც იერუსალიმის საპატრიარქო ტახტი დაქვრივდა, ალექსანდრიის პატრიარქი არსენი გახდა იერუსალიმის პატრიარქის ტო-

¹ „20 марта 681 г. Иером. Георгий, апокрисиарий местоблюстителя Иерусалимского престола, представил соборное послание свт. Софрония Иерусалимского, направленное им К-польскому патриарху Сергию, но не принятое последним“ (Литвинова, Пономарёв, *Вселенский VI Собор*, გვ. 628-645).

² „На VI Вселенском (680-681) и Трулльском (691) Соборах Александрийскую Православную Церковь представлял Петр, подписывавшийся соответственно, как ‘местоблюститель апостольского престола Александрийской митрополии’ [...]“ (Панченко, *Косма I*, გვ. 223-224).

³ „В 1406 г. патриарх К-польский Матфей I (1397-1410) назначил И. В. своим местоблюстителем (толотηρητής) во главе делегации, уполномоченной подробно исследовать запрос греч. клириков Кипра, официально подчинявшихся лат. иерархии (греч. архиепископская кафедра была упразднена папой Александром IV в 1260), но желавших тайно соединиться с К-польской Церковью“ (Бернацкий, *Иосиф Вриенский*, გვ. 27-28).

პოტირიტისი და ეკავა ეს თანამდებობა, ვიდრე იერუსალიმის ახალ პატრიარქს, თეოფილე პირველს აირჩევდნენ.¹

5) მსგავსი შემთხვევები პოსტბიზანტიურ პერიოდშიც გვაქვს. ალექსანდრიის პატრიარქები მელეტიოს I პიგასი (1597-1598 წლებში) და კირილე I (1612 წელს) კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტოპოტირიტისები იყვნენ, როდესაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი ვაკანტური იყო.²

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ „*τοποτηρητής*“ იყო პატრიარქის უფლებამოსილი წარმომადგენელი ოფიციალურ შეხვედრებზე, რომელთაც იგი პირადად ვერ ესწრებოდა. ისიც შეიძლება მომხდარიყო, რომ ერთი ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქი მეორე ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქის ტოპოტირიტისი ყოფილიყო მაშინ, როცა მისი ტახტი ვაკანტური იყო.

ბ) „*τοποτηρητής*“ ახალ დროში

1) ალექსანდრიის პატრიარქმა კალინიკემ (+1861) ცხოვრების ბოლო წლები კონსტანტინოპოლში გაატარა, ხოლო ალექსანდრიაში თავისი ტოპოტირიტისი დატოვა.³

2) მიტროპოლიტი სერაფიმე 2002 წელს დაინიშნა ზიმბამბვეში ალექსანდრიის პატრიარქის „*τοποτηρητής*“-ად: „*Το έτος 2002 διοκόνησε και ως Τοποτηρητής της Ιεράς Μητροπόλεως Ζιμπάμπουε*“.⁴

3) სერბეთის ეკლესიაში ერთდროულად რამდენიმე „*τοποτηρητής*“ ჰყავთ.⁵

4) რუმინეთის პატრიარქი თვითონ ფლობს სხვა ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შემავალი ტერიტორიის „*τοποτηρητής*“-ის ტიტულს. იგი კესარიის კაბადოკიის ტახტის მოსაყდრედ იწოდება: Ἡ Α.

¹ „*Арсений (патриарх Александрийский, местоблюститель ИПЦ; 1005 – 4 июля 1010)*“, (*Иерусалимская Православная Церковь*, გვ. 446-500).

² „*Ἦτο μία μεγάλη ἐκκλησιαστικὴ προσωπικότητα τοῦ 16ου αἰῶνα, Πατριάρχης Ἀλεξανδρείας (1590-1601), χρημάτισας συνάμα καὶ τοποτηρητὴς τοῦ Οἰκουμενικοῦ Πατριαρχείου εἰς χαλεποὺς καιροὺς (1597-1598)*“ (Φειδᾶς, *Μελέτιος Α΄ ὁ Πηγᾶς*; Grumel, *La chronologie*, გვ. 438).

³ „*Последние годы патриаршества провел в К-поле, оставив на Александрийской кафедре местоблюстителя*“, (О. Н. А.), *Каллиник*, გვ. 505-506.

⁴ *Μητροπόλεις Πατριαρχικῶ Ἰθρόνου*.

⁵ *Πατριαρχεῖον Σερβίας*.

Μακαριότης, ὁ Ἀρχιεπίσκοπος Βουκουρεστίου, Μητροπολίτης Οὐγγροβλαχίας καὶ Πατριάρχης Ρουμανίας καὶ Τοποτηρητὴς τοῦ Θρόνου τῆς Καισαρείας Καππαδοκίας.¹

5) 1860 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში დაანესეს ახალი თანამდებობა, რაც „τοποτηρητής“-ით აღინიშნება. მისი უფლებამოსილება 1918 წლის შემდეგ და 1923 წელსაც გაიზარდა. მისი მოვალეობაა სინოდის დროებითი თავმჯდომარეობა იმ პერიოდში, ვიდრე პატრიარქის ტახტი ვაკანტურია.²

6) 1996 წელს, მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ აღადგინა მის იურისდიქციაში ესტონეთის ავტონომიური ეკლესია, იქ დაადგინა „τοποτηρητής“. ეს თანამდებობა დაიკავა კარელიისა და სრულიად ფინეთის მთავარეპისკოპოსმა, ვიდრე ესტონეთის ეკლესიის მეთაურს აირჩევდნენ.³

მოხმობილი მაგალითებიდან დავინახეთ, რომ ახალ დროში „τοποτηρητής“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება – ის აღნიშნავს პატრიარქის მოადგილეს / მის ნაცვალს, რომელიც ავტოკეფალურ ეკლესიას მართავს მაშინ, როდესაც პატრიარქი საზღვარგარეთ იმყოფება ხანგრძლივი დროით. „τοποτηρητής“ ასევე შეიძლება იყოს რომელიმე დიოცეზის / მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულის მმართველად დანიშნული მღვდელმთავარი. ერთი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური სხვა ავტოკეფალური ეკლესიის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის „τοποτηρητής“-ის ტიტულსაც შეიძლება ფლობდეს. დაბოლოს, 1860 / 1923 წლიდან კონსტანტინოპოლში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „τοποτηρητής“ არის სინოდის დროებითი თავმჯდომარე, ვიდრე პატრიარქის ტახტი ვაკანტურია და ვიდრე ახალი პატრიარქის არჩევა მოხდება. ეს პრაქტიკა კონსტანტინოპოლიდან სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებშიც გავრცელდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არ არის მთლად მართებული, თითქოს „τοποτηρητής“ იმ მნიშვნელობით, რაც მან კონსტანტინოპოლში 1860 / 1923 წლიდან შეიძინა, არის ცესკოს თავმჯდომარის მსგავსი ფუნქციების მქონე თანამდებობის პირი, რომელიც პატრიარქად ვერ იყრის კენჭს. თვითონ კონს-

¹ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიმართვა რუმინეთის პატრიარქისადმი: Βαρθολομαίως, *Ομιλία Οικουμενικῶν Πατριάρχῃ*.

² იყო შემთხვევები, როცა მათი არჩევა წინასწარაც ხდებოდა, ვიდრე პატრიარქის ტახტი გათავისუფლდებოდა: „Caretakers had been elected on an ad hoc basis prior to this date“ (Kiminas, *The Ecumenical Patriarchate*, გვ. 48, სქოლ. 45). ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ერთ კათედრაზე ერთდროულად ერთზე მეტი იერარქის ყოფნას, როგორც ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს.

³ Kalmar, *H Orθόδοξη Εκκλησία της Εσθονίας*, გვ. 148, სქოლ. 430.

ტანტინოპოლის პრაქტიკაში არაერთი „თოთიჟიჟი“-ია, რომელიც შემდეგ პატრიარქი გახდა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, „თოთიჟიჟი“-ს სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მის უფლება - მოვალეობებთან დაკავშირებით ავტოკეფალურ ეკლესიებს განსხვავებული პრაქტიკა აქვთ. ამიტომ, როდესაც „მოსაყდრეს“ „თოთიჟიჟი“-ად ვთარგმნით, ამან გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს, თუკი არ დავაკონკრეტებთ მის ფუნქციებს.

5. აქვს თუ არა მღვდელმთავარს მისი კათედრის მომავალი კანდიდატის დასახელების უფლება

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, მოსაყდრე თავისთავად მომავალი პატრიარქობის კანდიდატიც კი არ არის, არა თუ ავტომატურად მომავალი პატრიარქი (თუკი, მაგალითად, მოსაყდრის კანდიდატურა არ დადგება არჩევნებზე, ან მოიხსნება არჩევნებიდან, იგი პატრიარქად კენჭსაც ვერ იყრის). მიუხედავად ამისა, მოსაყდრის დადგინება შეიძლება გავიგოთ, როგორც პატრიარქის პოზიციის გამოხატვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ მიაჩნია მას მისი კათედრის სასურველ მემკვიდრედ. სწორედ ამან გამოიწვია ვნებათაღელვა გარკვეულ წრეებში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ საკითხზეც ვიმსჯელოთ.

1) გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი „დიდი სვინაქსრის“ 23 თებერვლის საკითხავიდან ვიგებთ, რომ ვუკოლე ზმირნელმა ეპისკოპოსმა მისი ტახტის მემკვიდრედ პოლიკარპე დაასახელა: „[...] ნმიდისა მღვდელმონამისა პოლიკარპე ზმირნელ ეპისკოპოსისაჲ, რომელი დაემონაჲ ღმრთისმეტყუელსა იოვანეს ეგნატის თანა ღმერთშემოსილისა და შემდგომად ნმიდისა ბუკოლი ზმირნელ ეპისკოპოსისა ჴელთდასხმულ იქმნა ეპისკოპოსთა მიერ, რამეთუ წინაჲთვე ეთქუა მისდა მღვდელთმოდურებისათჳს ნმიდასა ბუკოლის“ (ხაზგასმა ჩემია – გ. მ.).¹

¹ დიდი სვინაქსარი, გვ. 174.

2) ალექსანდრე კონსტანტინოპოლელმა მის კათედრაზე შემდგომში პავლე კონსტანტინოპოლელის დადგენა ურჩია თავის სამწყსოს.¹

3) ალექსანდრე ალექსანდრიელმა თავისი ტახტის მემკვიდრედ ათანასე ალექსანდრიელი გამოარჩია, ხოლო ათანასე ალექსანდრიელმა – პეტრე ალექსანდრიელი.²

4) გოჩა ბარნოვი იმონმებს ნეტარი ავგუსტინეს 110-ე ეპისტოლეს, საიდანაც ვიგებთ, რომ მისმა წინამორბედმა, ეპისკოპოსმა ვალერიუსმა ნეტარი ავგუსტინე საეკლესიო კრების გარეშე, ერთპიროვნულად დაადგინა ჰიპონიის ეპისკოპოსად. ნეტარი ავგუსტინე იქვე განმარტავს, რომ ეპისკოპოს ვალერიუსს ეს შეცდომა საეკლესიო კანონების არცოდნის გამო მოუვიდა.³ ამ ისტორიას აქვს გაგრძელება, რასაც გოჩა ბარნოვი თავის ნაშრომში გვერდს უვლის – შემდგომში თვითონ ნეტარმა ავგუსტინემ თავის თანაშემწედ და ჰიპონიის საეპისკოპოსო ტახტის მემკვიდრედ გამოიარჩია ერადიუსი.⁴ ამრიგად, ნეტარი ავგუსტინეს მაგალითიც ცხადყოფს, რომ მღვდელმთავარს აქვს უფლება გამოარჩიოს და დაასახელოს თავისი კათედრის მომავალი კანდიდატი.

5) ბასილი დიდის 77(81)-ე ეპისტოლედან ვიგებთ, რომ მას ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა სთხოვა, მისი ტახტის მემკვიდრის შერჩევაში დახმარებოდა: „შესანიშნავი და კეთილგონივრულია შენი თხოვნა, – უპასუხა მას წმ. ბასილიმ, – შენ გსურს შენივე სიცოცხლეში იცოდე, ვინ წარუძღვება შენს შემდეგ ღვთის რჩეულ სამწყსოს. ნეტარ მოსესაც უნდოდა ამის გაგება და შეიტყო კიდეც. მაგრამ ახლა მძიმე დროა. ეკლესიის წინააღმდეგ აღძრული დაუსრულებელი შფოთისა და მღელვარების გამო ძლიერი მესაჭენი არიან საჭირო. სახიფათოა ამ საქმის წინდაუხედავად გადაწყვეტა. ასე რომ, გადავხედე ქალაქის სამღვდელოების მთელ დასს და ამოვარჩიე ყველაზე პატიოსანი ჭურჭელი, ძლიერი სარწმუნოებაში [...] მაშ, ნუ დააყოვნებ წერილის მოწერას, რომ ეს მღვდელი გამოგიგზავნო“.⁵

6) ბიზანტიის ისტორიიდან ცნობილია, რომ იმპერატორები ეკითხებოდნენ ხოლმე პატრიარქებს, ვინ მიაჩნდათ თავისი კათედრის სასურველ მემკვიდრეებად. ასე იქცეოდნენ სხვა სახელმწიფოების მეთაურებიც.

¹ NPNF 2. 2 (სოკრატე სქოლასტიკოსი, *ეკლესიის ისტორია*), გვ. 38.

² NPNF 2. 2 (ერმია სოზომენი, *ეკლესიის ისტორია*), გვ. 269-270; NPNF 2. 3 (თეოდორიტი კვირელი, *ეკლესიის ისტორია*), გვ. 120.

³ მსგავს კანონიკურ გადაცდომას ნარკის იერუსალიმელთანაც ვხვდებით, თეოტეკნი პალესტინის კესარიის ეპისკოპოსთანაც. იხ. NPNF 2. 1 (ევსევი პამფილიელი, *ეკლესიის ისტორია*), გვ. 256-257, 320.

⁴ Соколов, *Опыт курса*, გვ. 417, სქოლ. 458.

⁵ დამონებულია ნაშრომიდან: Соколов, *Опыт курса*, გვ. 416, სქოლ. 457.

7) საინტერესო მაგალითი მოჰყავს მეუფე ზენონს თავის წერილში: ფილიპოპოლის მიტროპოლიტი გადადგა ტახტიდან იმ პირობით, რომ საეკლესიო კრება მის ნაცვლად იკონომოსს აირჩევდა ფილიპოპოლის კათედრაზე, რაც კრებამ არ დააკმაყოფილა.¹ აქედან ჩანს, რომ მღვდელმთავარს არა აქვს უფლება რაიმე პირობა წაუყენოს საეკლესიო კრებას.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ დასაშვებია თუკი მღვდელმთავარი ღიად გამოთქვამს აზრს მისი კათედრის მომავალი კანდიდატის ვინაობის შესახებ. ასე იქცეოდნენ მოციქულთა მოწაფეები, ეკლესიის დიდი მამები. ასეთია ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. აქედან გამომდინარე, ეს არ არის საეკლესიო კანონებიდან გადახვევა. კანონდარღვევა ხდება მაშინ, როცა იერარქი საეკლესიო კრების გვერდის ავლით, ერთპიროვნულად აღასრულებს სამღვდელმთავრო ხელდასხმას (არაეპისკოპოსს ერთპიროვნულად დაადგენს ეპისკოპოსად). ეს არის საეკლესიო ხელისუფლების უზურპირება და მიტაცება, რადგან ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, რომელსაც შეუძლია მღვდელმთავრის დადგენა, არის საეკლესიო კრება. კანონიკური გადაცდომაა ასევე, თუკი მღვდელმთავარი რაიმე პირობას წაუყენებს საეკლესიო კრებას მისი კათედრის მომავალი კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით, რადგან თავისთავად ეს ფაქტი (პირობის წაყენება) კრებისთვის თავისუფალი არჩევანის შეზღუდვის მცდელობას ნიშნავს.

6. როგორია საქართველოს ეკლესიის ისტორიული გამოცდილება

ქართულ წყაროებში პირველი იერარქების დადგინების წესების შესახებ ხშირად ძალიან მწირი ცნობებია წარმოდგენილი. მემატრიანეები ლაკონურ ცნობებს გვანვდიან, რაც ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საქართველოში საეკლესიო კანონები ირღვეოდა.

1) ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, რომ ნიკოლოზმა „დაუტევა კათალიკოსობა, და ჴელითა თჳსითა აკურთხა ჳუარისმტვრთველი მეფისა აბრაჰამ კათალიკოსად და თვთ წარვიდა მამულად თჳსად“.² თუკი აქ „კურთხევა“ ნიშნავს იმას, რომ მოქმედმა პირველმა იერარქმა მხოლოდ კურთხევა მისცა მის მიერ გამორჩეულ კანდიდატს, გამხდარიყო მისი ტახტის მემკვიდრე, ეს დარღვე-

¹ იარაჯული, *მოსაყდრის დადგინების შესახებ*.

² ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატინე*, გვ. 282.

ვა არ არის. ხოლო თუკი მომდევნო მღვდელმთავრის დადგინება საეკლესიო კრების გარეშე მოხდა, ეს უკვე ნიშნავს, რომ კანონი დაირღვა.

2) აი, რას გვაუწყებს „ამბავნი ქართლისანი“ დომენტი კათალიკოსის გარდაცვალებისა და ნიკოლოზ ხერხეულიძის აღსაყდრების შესახებ: „ოდეს შეწუხდა ყოვლად სანატრელი დომენტი პატრიარქი, დაუძახა ურბნელს ეპისკოპოსს ნიკოლაოზს, რომელი იყო ძე ხერხეულიძისა, დააჩოქა სარეცელსა თვისსა წინაშე, დასდო ჴელი თავსა მისსა, აკურთხა პატრიარქად, მისცა კურთხი ჴელთა მისთა და განვიდა ამიერ სოფლით და მივიდა წინაშე უფლისა“.¹

იქვე, ცოტა ზემოთ, პაპუნა ორბელიანი წერს: „ქორონიკონს ულ (1742 წ.), თვესა იანვარსა ბატონიშვილი დომენტი კათალიკოზი მიიცვალა. ამანვე თავისავ სიცოცხლეში ბძანა კრებით გამორჩევა კათალიკოზისა“.²

მოხმობილი ციტატები გვაფიქრებინებს, რომ პირველი იერარქების დადგინებისას კანონდარღვევა საქართველოში ზოგჯერ მართლაც ხდებოდა. ამის პრევენციის მიზნით გამოსცა დომენტი კათალიკოსმა ბრძანება, რომლის ტექსტიც დაკარგულია და რომლის შესახებაც გვაუწყებს პაპუნა ორბელიანი. როგორც ჩანს, მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების ბატონობის დროს, როდესაც მოშლილი იყო ქართული სახელმწიფოებრიობა, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა საეკლესიო კრების გამართვა და პირველ იერარქს საერო ხელისუფალი (მეფე-ყმა, თუ მისი ჯანიშინი) ნიშნავდა.³ ცნობილია, რომ დომენტი კათალიკოსმა ქართველთა შორის სარწმუნოება ააღორძინა. და აი, პაპუნა ორბელიანის ცნობით, კათალიკოსმა ამ კანონდარღვევის გამოსწორებაზეც იზრუნა.

3) ჩვენი წყაროებიდან ვიცით, რომ ქართველი მღვდელმთავრები ხშირად იღებდნენ მონაწილეობას დიპლომატიურ მისიებში. ამ დროს მათ ხანგრძლივი დროით უხდებოდათ ქვეყნის დატოვება. მაგალითად „მატიანე ქართლისაჲ“ გვაუწყებს, რომ მელქისედეკ პირველი კონსტანტინოპოლში ჩავიდა დიპლომა-

¹ პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, გვ. 52.

² იქვე.

³ მთავარი მიზეზი, რის გამოც ასეთი კანონდარღვევები ხდებოდა საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც, იყო პოლიტიკური ხელისუფლების ჩარევა ეკლესიის საქმეებში. აღარ განვადგინებთ სიტყვას ცნობილი ფაქტის შესახებ, რასაც გიორგი მერჩულე გვაუწყებს თავისი თხზულების 42-ე თავში – მირიან დიდაზნაურის ჩარევის გამო, საეკლესიო კანონების დარღვევით მოხდა კათალიკოსად მისი ძის, არსენის დადგენა (გიორგი მერჩულე, *გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება*, გვ. 287).

ტიური მისიით;¹ „ჟამთააღმწერლის“ ცნობით, კათალიკოსები ნიკოლოზი და აბრაჰამი მონღოლთა ურდოში ჩავიდნენ;² ზოგი მღვდელმთავარი ირანის შაჰთან იგზავნებოდა დიპლომატიური მისიით, ზოგიც ოსმალეთის სულთანთან, რუსეთის იმპერატორთან. რა ხდებოდა ამ დროს, ვის ტოვებდნენ ქართველი მღვდელმთავრები აქ მათი არყოფნის დროს? ქართველ მეფეთა და მღვდელმთავართა არქივებისა და წიგნთსაცავების დიდი ნაწილი დაკარგულია. შეგვიძლია მხოლოდ იმ მასალების მიხედვით ვიმსჯელოთ, რაც შემოგვრჩა.

1772 წელს ერეკლე მეფემ ანტონ კათალიკოსი რუსეთში გაგზავნა დიპლომატიური მისიით. ამასთან დაკავშირებით კათალიკოსმა წინასწარ გამოსცა „სამწყოსოს საქმეთა განწესება“. დოკუმენტი 1771 წლის 18 დეკემბრით თარიღდება – „ჩუენ მაგიერად ზ ე დ ა მ ხ ე დ უ ე ლ ა დ განგვიწესებია: ყოვლად სამღუდელი მიტროპოლიტი სამთავროჟსა და გორისა ბესარიონ, ყოვლად სამღუდელი მიტროპოლიტი ტფილისისა მიხაილ, ყოვლად სამღვდელი ნინოწმიდელ მიტროპოლიტი და ათორმეტთა მონასტერთა არხიმანდრიტი საბა და დეკანოზი ანჩისხატის ეკლესიისა გიორგი“ (ხაზგასმა ჩემია – გ. მ.).³

ამრიგად, ანტონ კათალიკოსმა, საქართველოში მისი არყოფნის დროს, ეკლესია ჩააბარა ოთხ ზედამხედველს. ფაქტობრივად ეს იყო მუდმივმოქმედი სინოდი. ანტონ კათალიკოსი მას „შეკრებულებას“ უწოდებს: „ჩუენს შეკრებულებას ამას ვაუწყებთ, რომ მისის სიმალლის (ე. ი. ერეკლე მეორის – გ. მ.) სასახლის პროტოდიაკონი ნათლისძე გიორგი ჩუენ მეცნიერ კაცად ვიცით და იმასაც დაისწრებდენ და მწიგნობრად და მწერლად იგი ჰყუანდესთ“.⁴ ანუ ზედამხედველთა კრების მდივანი უნდა ყოფილიყო გიორგი პროტოდიაკონი.

„სამწყოსოს საქმეთა განწესებიდან“ ასევე ვიგებთ, რომ ანტონ კათალიკოსმა ზედამხედველთა შეკრებულებას განუსაზღვრა სხდომების გამართვის ადგილი – პატრიარქის სენაკი.

საბუთი მრავალმხრივ არის საინტერესო, ამჯერად მასზე უფრო ვრცლად ვერ შევჩერდებით. ბოლო მუხლში ვკითხულობთ: „ესეც ყოველთა

¹ „ამისა შემდგომად წარვიდა პატრიარქი მეღქისედეკ კოსტანტინე მეფისა წინაშე კოსტანტინეპოლედ“; „წარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მეღქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კოსტანტინეპოლედ“ (*მატიანე ქართლისა*, გვ. 290, 294).

² „ხოლო ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა და მონასტერნი არავისგან იცვებოდეს [...] ამისთვის წარვიდა ულოს წინაშე კათალიკოსი ნიკოლოზ“; „[...] დაასკუნა წარსლვა ურდოსა, დიდითა დიდებითა და საჭურჭლითა, და თანა წარჰყვა კათალიკოსი აბრაჰამ“; „[...] წარმოგზავნა დედა თვისი დედოფალი, და ძმა მისი უმრწამესი მანოველ, და კათალიკოსი აბრაჰამ და დედოფალი ცოლი მეფისა, ოლჯათ, წარმოავლინა, რათა წარვიდეს ურდოსა და იურვოს საქმე მისი“ (*ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე*, გვ. 224, 289, 304).

³ ანტონ პირველი, *სამწყოსოს საქმეთა განწესება*, გვ. 892-895.

⁴ იქვე.

ეუნყოსთ, რომ რათგან ჩვენ წასასულელნი ვართ და ამისთვის დიდს უცალო-ბაში ვართ, ამა წერილისაებრ ყოველივე დღეისითგან, რომელ არს დეკემბრის თთუე 18, შეკრებულეზამ ინყოს და ამან განაგოს და განიხილოს“.¹ ამრიგად, კათალიკოსის ბრძანება ძალაში შევიდა მისი გამოცემისთანავე, ანუ ზედამხედველთა შეკრებულეზა თავისი უფლებამოსილების შესრულეზას მანამდე შეუდგა, ვიდრე პატრიარქი საქართველოდან გაემგზავრებოდა.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ერთ საეპისკოპოსო კათედრაზე ერთდროულად ერთზე მეტი იერარქის ყოფნას (რაც საეკლესიო კანონების დარღვევაა). აქ ჩვენ შეგვიძლია პარალელი გავავლოთ კალინიკე ალექსანდრიელი პატრიარქის მაგალითთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პატრიარქმა კალინიკემ ცხოვრების ბოლო წლები კონსტანტინოპოლში გაატარა, ხოლო ალექსანდრიაში თავისი ტოპოტირიტისი დატოვა. 1771 წლის საბუთიდან ვიგებთ, რომ ანტონ კათალიკოსის დროს იმავე ფუნქციების მქონე თანამდებობას ჩვენში „ზედამხედველი“ აღნიშნავდა.² ანუ ანტონ კათალიკოსის „სამწყსოს საქმეთა განწესებაში“ „ზედამხედველი“ უდრის „ტოპოტირიტისს“. მას უფრო მეტი უფლებამოსილება აქვს, ვიდრე „დამხედვარს“, იგივე „ეპიტირიტისს“, რაზეც გიორგი ათონელი წერს. ამიტომ, ბერძნულად თუ ვთარგმნით ანტონ კათალიკოსის ამ საბუთს, უფრო მართებული იქნება თუკი „ზედამხედველის“ შესატყვისად „ტოპოტირიტისს“ გამოვიყენებთ და არა „ეპიტირიტისს“.

7. როგორია ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკლესიის პრაქტიკა

ამაზე კარგი განმარტება გააკეთა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. მან მოიყვანა არაერთი მაგალითი, საიდანაც ჩანს, რომ მოსაყდრე ავტომატურად არ ნიშნავს მომავალ პატრიარქს:

„1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ეკლესიის დროებით მმართველად და მოსაყდრედ დამტკიცდა გურია-ოდისის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), მაგრამ 1917 წლის 17

¹ იქვე.

² სხვა მსგავსი საბუთიც გვაქვს, სადაც „ზედამხედველის“ ნაცვლად არაბ. „ნაიბი“ გამოიყენება. ათანასე თბილელმა 1752 წლის 29 მაისს თავისი სამწყსოს „ნაიბად“ ქრისტეფორე მროველი დატოვა, თვითონ კი თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის დავალებით რუსეთში გაემგზავრა (ათანასე ტფილელი, *სამწყსოს მიზარების წიგნი*, გვ. 825-826).

სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი).

1925 წლის 11 ნოემბერს უწმიდესმა ამბროსიმ კათოლიკოს-პატრიარქის მუდმივ მოსაყდრედ გამოაცხადა მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე), რომელიც 1926 წლის 30 დეკემბერს გადააყენეს მოსაყდრეობიდან, 1927 წლის 27 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაამტკიცეს მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე), მაგრამ 1932 წლის 10 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე), 1959 წლის 24 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაამტკიცეს ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევედარიანი), მაგრამ 1960 წლის 11 იანვარს მიტროპოლიტი დავითი წმიდა სინოდმა გადააყენა მოსაყდრეობიდან, ჯერ მოსაყდრედ ხოლო შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე). ასეთი იყო მეოცე საუკუნის საქართველოს ეკლესიაში კათოლიკოს-პატრიარქების მოსაყდრეების ისტორია¹.

ამრიგად, როგორც მოხმობილი მაგალითებიდან დავინახეთ, მოსაყდრის დადგინება არ ნიშნავს საეკლესიო ხელისუფლების უზურპირებას. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, პატრიარქის არჩევის ლეგიტიმური უფლება აქვს საეკლესიო კრებას. საეკლესიო კრება ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტს მომდევნო პატრიარქის ვინაობას. დებულების მიხედვით, პატრიარქს უფლება აქვს გამოარჩიოს თავისი ტახტის მოსაყდრე. ეს არ ნიშნავს საეკლესიო კრების წევრებისთვის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვას.

8. დასკვნა

ტერმინი „მოსაყდრე“ როგორც თავისი ფორმით, ისე შინაარსით ეკლესიის მრავალსაუკუნოვან პრაქტიკას ემყარება. არ არის სწორი, თითქოს მოსაყდრის ინსტიტუტი რუსული გავლენის შედეგად დამკვიდრდა ჩვენში. რუსეთზე გაცილებით ადრე ეს ინსტიტუტი ბიზანტიაში არსებობდა. შეცდომაა, თითქოს ეს არის ეკლესიაში მონარქიული პრინციპის შემოტანა. პატრიარქის

¹ ვარდოსანიძე, მათ გასაგონად. ს. ვარდოსანიძე ამ საკითხზე სხვა პუბლიკაციაშიც მსჯელობს: ვარდოსანიძე, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, გვ. 445-460.

მიერ მოსაყდრის გამორჩევა არ ნიშნავს იმას, რომ ერთ საეპისკოპოსო საყდარზე ერთდროულად ორი იერარქი იმყოფება. მოსაყდრის დადგინება არ ნიშნავს საეკლესიო ხელისუფლების უზურპირებას, რადგან პატრიარქს ირჩევს კრება ხმათა უმრავლესობით.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

ათანასე ტფილელი, სამწყსოს მიბარების წიგნი – ათანასე ტფილელი, სამწყსოს მიბარების წიგნი ათანასე ტფილელისა ქრისტეფორე მროველისადმი (1752), „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 825-826.

ანტონ პირველი, სამწყსოს საქმეთა განწესება – სამწყსოს განწესება ანტონ პირველის მიერ (1771), „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 892-895.

ბარნოვი, ოკუპანტი განახორციელებს მომავალი პატრიარქის „დადგენას“ – ბარნოვი გ., საფრთხე, რომ ოკუპანტი პირდაპირ განახორციელებს ნებისმიერი მომავალი პატრიარქის „დადგენას“, სერიოზულ პრობლემად მიმაჩნია, გაზ. „ქრონიკა+“ (08. 08. 2019).

ბარნოვი, მოსაყდრის ინსტიტუტის შესახებ – ბარნოვი გ., საქართველოს ეკლესიაში არსებული მოსაყდრის ინსტიტუტის შესახებ, „ორბელიანი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი“, 3, 2020, გვ. 45-52.

ბერბიჭაშვილი, ილია II უნდა გადამდგარიყო – ბერბიჭაშვილი გრ. (მიტროპ.), ეპისკოპოსი გრიგოლი პატრიარქის ბრძანების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს, მისი თქმით, მოსაყდრის გამწესების შემდეგ, ილია II უნდა გადამდგარიყო, „რუსთავი 2“ (25.11.2017), ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3nX4Pwb> (ნანახია: 27.11.2021).

გეორგიკა, IV/II – გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952.

გიორგი ათონელი, იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება – ცხოვრებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი II, გამოსაცემად

მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1967, გვ. 38-100.

გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება – შრომა და მოღუანებად ღირსად ცხოვრებისა ნმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჳსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, ნიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1963, გვ. 248-319.

დანერილი მღვიმის კრებულისა – დანერილი მღვიმის კრებულისა ბასილი ალავერდელისადმი (XIII ს.), „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, გვ. 190-191.

დიდი სჯნაქსარი – გიორგი ათონელი, დიდი სჯნაქსარი, მ. დოლაქიძისა და დ. ჩიტუნაშვილის გამოცემა, თბილისი, 2017.

დიდი სჯულისკანონი – დიდი სჯულისკანონი [არსენ იყალთოელის თარგმანი], გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.

დოკუმენტირებული ლექსიკონი – ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, თბილისი, 2003.

ეგნატე ღმერთშემოსილი, მეორე ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ – ეპისტოლენი ნმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისანი, თარგმანი ნმიდა გიორგი მთაწმინდელისა, ხელნაწერი შეისწავლა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. ბოროდამ, „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, თბილისი, 1988, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3181XUt> (ნანახია: 27.11.2021).

ეპისტოლე, 2021 – თეოლოგების ეპისტოლე: პრობლემების სათავე პირველიერარქის მხრიდან მმართველობის მიტაცებაჲ, „FormulaNews“ (06.01.2021), ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3nWE8b1> (ნანახია: 27.11.2021).

ვარდოსანიძე, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე – ვარდოსანიძე ს., კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი გამონვევა, „ისტორიანი: სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი“, თბილისი, 2019, გვ. 445-460.

ვარდოსანიძე, მათ გასაგონად – ვარდოსანიძე ს., *მათ გასაგონად, ვინც კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობაზე მსჯელობს*, <https://bit.ly/316gRea> (ნანახია: 27.11.2021).

ვაჰანის ქვაბთა განგება – ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი, 1939.

თეიმურაზ მეორე, წყალობის წიგნი – თეიმურაზ მეორე, *ბისონის წყალობის წიგნი ნეკრესელისადმი*, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 395-396.

იარაჯული, მოსაყდრის დადგინების შესახებ – იარაჯული ზ. (მთ.ეპ.), *მოსაყდრის დადგინების შესახებ*, დმანისი, 2017, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3143B9K> (ნანახია: 27.11.2021).

იარაჯული, შეიძლება თუ არა მოსაყდრე გახდეს პატრიარქი – იარაჯული ზ. (მთ. ეპ.), *შეიძლება თუ არა, რომ მოსაყდრე გახდეს პატრიარქი?*, ინტერვიუ ი. გრიგოლიას „რეაქციაში“, TV პირველი (27. 06. 2018), ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3HYPCML> (ნანახია: 27. 11. 2021).

იოანე ოქროპირი, მარხვისათვის და იონაჰსთვის – თქემული ნმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათვის და იონაჰსთვის, „სინური მრავალთავი 864 წლისა“, სასტამბოდ მოამზადეს ივ. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ, ზ. ჭუმბურიძემ, ლ. ბარამიძემ, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი, 1959, გვ. 100-111.

მაქსიმე აბაშიძე, ეპისტოლე – მაქსიმე აბაშიძე, *ეპისტოლე (1792)*, დამონმებულია ნაშრომიდან: ქორიძე თ., *აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები*, კრებ.: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები“, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2000, გვ. 171.

მატიანე ქართლისა – *მატიანე ქართლისა*, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 249-317.

პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი – პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.

ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე – ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 151-325.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული — სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, ტ. 1, თბილისი, 1991.

ცაავა, რას განიხილავს სინოდი — ცაავა პ. (ეპ.), *რას განიხილავს სინოდი?*, „პოლიტიკის ფორმულა სოფო ზურაბიანთან ერთად“, tv formula (08.02.2021), დაახლ. 3:10-დან და 5:40-დან, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/313VgCT> (ნანახია: 27.11.2021).

Grumel, *La chronologie* – *Traité d'études byzantines* publié par Paul Lemerle, 1: *La chronologie* par Venance Grumel, Paris, 1958.

Kalmar, *Η Ορθόδοξη Εκκλησία της Εσθονίας* – Kalmar U. M., *Μελέτιος, Η Ορθόδοξη Εκκλησία της Εσθονίας στο παρελθόν και το παρόν και η σχέση της με το Οικουμενικό Πατριαρχείο (διδ. διατριβή)*, Θεσσαλονίκη, 2006.

Kiminas, *The Ecumenical Patriarchate* – Kiminas D., *The Ecumenical Patriarchate: A History of Its Metropolitans with Annotated Hierarch Catalogs*, (Wildside Press LLC), 2009.

Letter 1723 – *Letter of the Patriarchs of the Eastern Universal Church on orthodox faith* (1723), კრებულში: „Dogmatic letters of the Orthodox hierarchs of XVII-XIX centuries on orthodox faith“, (Trinity Lavra of St. Sergius), 1995, გვ. 165-166.

NPNF 2. 1 – Nicene and Post-Nicene Fathers, Series II, Volume I, (Hendrickson Publishers), 1995.

NPNF 2. 2 – Nicene and Post-Nicene Fathers, Series II, Volume II, (Hendrickson Publishers), 1995.

NPNF 2. 3 – Nicene and Post-Nicene Fathers, Series II, Volume III, (Hendrickson Publishers), 1995.

Patsavos, *Primary and Conciliarity* – Patsavos L. J., *Primary and Conciliarity: Studies in the Primacy of the See of Constantinople and the Synodal Structure of the Orthodox Church*, (Holy Cross Orthodox Press), 1995.

Бернацкий, Иосиф Вриенский – Бернацкий М. М., *Иосиф Вриенский*, „Православная Энциклопедия“, 26, Москва, 2011, გვ. 27-28.

Заозерский, *Формы устройства православной церкви* – Заозерский Н. А., *Формы устройства восточной православной церкви*, „Православное Обозрение“, 3, 1890, გვ. 391-444.

Заозерский, *О священной власти* – Заозерский Н. А., *О священной и правительственной власти и о формах устройства православной церкви*, Москва, 1891.

Заозерский, О церковной власти – Заозерский Н. А., *О церковной власти*, Москва, 1894.

Иерусалимская Православная Церковь – *Иерусалимская Православная Церковь*, „Православная Энциклопедия“, 21, Москва, 2009, гл. 446-500.

Капитолядский Исихий – *Его Высокопреосвященство Митрополит Капитолядский Исихий*, ՅԵԾԳՅԵՐԴՈՍ ՄԻՍԿԱԹՈՍ: <https://bit.ly/3nZbiac> (бывшая ссылка: 30.05.2021).

Лебедев, Духовенство древней Церкви – Лебедев А. П., *Духовенство древней Вселенской Церкви от времен апостольских до X века*, С-Пб., 2006.

Литвинова, Пономарёв, Вселенский VI Собор – Литвинова Л. В., Пономарёв А. В., *Вселенский VI Собор*, „Православная Энциклопедия“, 9, Москва, 2005, гл. 628-645.

(О. Н. А.), Каллиник – (О. Н. А.), *Каллиник*, „Православная Энциклопедия“, 29, Москва, 2011, гл. 505-506.

Панченко, Косма I – Панченко К. А., *Косма I*, „Православная Энциклопедия“, 38, Москва, 2015, гл. 223-224.

Соколов, Опыт курса – Соколов И. (Еп.), *Опыт курса церковного законоведения*, 1, Санкт-Петербург, 1851.

Соколов, Патриарший кризис в Константинополе – Соколов И. И., *Патриарший кризис в Константинополе: из современной церковной жизни на православном греческом Востоке*, „Христианское чтение“, №11, 1905, гл. 560-578; 737-753; 866-887.

Соколов, Избрание патриархов в Византии – Соколов И. И., *Избрание патриархов в Византии с половины IX до половины XV века (843-1453): Исторический Очерк*, „Христианское чтение“, №4, 1907, гл. 419-454.

Соколов, Избрание Александрийских патриархов – Соколов И. И., *Избрание Александрийских патриархов в XVIII и XIX столетиях: Исторический Очерк*, „Христианское чтение“, 1911, №9, гл. 1109-1129; 1911, №10, гл. 1152-1189; 1911, №11, гл. 1255-1271; 1911, №12, гл. 1391-1409; 1911, №7-8, гл. 803-830; 1915, №5, гл. 635-652; 1915, №6, гл. 787-813; 1915, №9, гл. 1094-1121; 1915, №7-8, гл. 931-952.

Соколов, Избрание Александрийских патриархов в XIX веке – Соколов И. И., *Избрание Александрийских патриархов в XIX веке: Исторический Очерк*, „Христианское чтение“, 1913, №10, гл. 1155-1175; 1913, №11, гл. 1310-1328; 1913, №12, гл. 1415-1434; 1914, №10, гл. 1265-1285; 1914, №11, гл. 1363-1380; 1914, №12, гл. 1475-1493; 1915, №2, гл. 219-239; 1915, №3, гл. 358-378.

Соколов, Антиохийская Церковь – Соколов И. И., *Антиохийская Церковь: Очерк современного ее состояния*, С-Пб., 1914.

Соколов, Епархиальное управление в Константинопольской церкви – Соколов И. И., *Епархиальное управление в праве и практике Константинопольской церкви настоящего времени*, С-Пб., 1914.

Соколов, Состояние монашества – Соколов И. И., *Состояние монашества в Византийской Церкви с середины IX до начала XIII века (842–1204)*, С-Пб., 2003.

Успенский, Александрийская патриархия – Успенский П., *Александрийская патриархия: Сборник материалов, исследований и записок относящихся до истории Александрийской патриархии*, 1, С-Пб., 1898.

Απολυτίκιον – Απολυτίκιον, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3o5qeUh> (განახობა: 27.11.2021).

Βαρθολομαίος, Ομιλία Οικουμενικού Πατριάρχη – Βαρθολομαίος (Πατρ.), *Ομιλία Οικουμενικού Πατριάρχη*, Καππαδοκία, 2019, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3p2rj6g> (განახობა: 30.05.2021).

Δαμασκηνός, Η διοικητική οργάνωσις – Αρχιεπίσκοπος Ίόπηης κ. Δαμασκηνός, *Η διοικητική οργάνωσις τοῦ Πατριαρχείου Ἱεροσολύμων*, Αγια Σιων, 2008.

Κανονισμός 2016 – Κανονισμός οργανώσεως και λειτουργίας της Αγίας και Μεγάλης Συνόδου της Ορθοδόξου Εκκλησίας, Σαμπεζύ, 21-28 Ἰανουαρίου 2016, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3nZxWiF> (განახობა: 27.11.2021).

Καπιτωλιάδος κ. Ἠσύχιος – Ὁ Πανιερώτατος Μητροπολίτης Καπιτωλιάδος κ. Ἠσύχιος, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3CXyxFC> (განახობა: 27.11.2021).

Μητροπόλεις Πατριαρχικού Θρόνου – *Μητροπόλεις Πατριαρχικού Θρόνου*, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3nVBdPJ> (განახობა: 27.11.2021).

Πατριαρχεῖον Σερβίας – Πατριαρχეῖον Σερβίας, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3xvUue4> (განახობა: 27.11.2021).

Σταυρίδης, Οι οικουμενικοί πατριάρχαι – Σταυρίδης Β., *Οι οικουμενικοί πατριάρχαι 1860-Σήμερον: Ιστορία και κείμενα, Θεσσαλονίκη*, 2004, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3CSlc1v> (განახობა: 27.11.2021).

Τζωρτζάτος, Οι βασικοί θεσμοί – Τζωρτζάτος Β., *Οι βασικοί θεσμοί διοικήσεως των ορθοδόξων πατριαρχείων μετά ιστορικών ανασκοπήσεων*, Αθήναι, 1972.

Φειδάς, Μελέτιος Α΄ ὁ Πηγᾶς – Φειδάς Β., *Μελέτιος Α΄ ὁ Πηγᾶς*, ვებგვერდის მისამართი: <https://bit.ly/3CYVS9O> (განახობა: 27.11.2021).

Concerning the Institution of ‘მოსაყდრე’ [Mosaq’dre]

Summary

The appointment of the locum tenens of the Patriarch of Georgia was a particularly resonant event. Some religious experts say the term ‘მოსაყდრე’ is very strange in church practice; that it is not canonical both in form and in content and is the result of Russian influence. These statements are incorrect and unacceptable.

In order to identify the Greek equivalents of ‘მოსაყდრე’, we searched for the term in medieval ecclesiastical sources. The Byzantine Church authorities had a complex bureaucratic system with administrative duplications. There were many high administrative positions with different titles and almost similar duties and responsibilities. Over the centuries, even in post-imperial times, these titles changed their form and meaning. Therefore, these terminological connotations need thorough analysis.

The main Greek equivalent of the ‘მოსაყდრე’ is ‘τοποτηρητής’. According to historical materials, in the Byzantine and Ottoman periods, τοποτηρητής was the representative of the Patriarch at official meetings. There were also cases when the patriarch of one autocephalous church was a τοποτηρητής of another autocephalous church, when its patriarchal throne was vacant. In the modern time autocephalous churches do not have common practice in relation to τοποτηρητής, and it has more or less different duties.

Our research shows that the term ‘მოსაყდრე’ actually derives from patristic and Byzantine ecclesiastical traditions, and Georgian Church practice in the Middle Ages was the same as Greek-orthodox canon law. But medieval Georgian chronicles show that in some cases, when the Georgian states were in a turbulent political situation, there were exceptions.